საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა(ა)იპ „თ. მ.“

საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: ადვოკატი თ. ს. /სიითი N/ ადვოკატი თ. ზ. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.11.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 098/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ა.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 20 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა(ა)იპ ,,თ. მ.-მ'' და მოითხოვა ადვოკატ დ. ა.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, „თ. მ.“ არის ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ლგბტქი+ ადამიანების უფლებების დაცვა. ორგანიზაცია მათ აწვდის უფასო იურიდიულ და სოციალურ სერვისებს, უწევს მათ წარმომადგენლობას.

1.3 2020 წლის 16 ნოემბერს სოციალურ ქსელ „facebook-ში“ ტელეკომპანია --- გვერდზე გამოქვეყნდა სიუჟეტი. სიუჟეტში ნაჩვენები იყო, რომ 2020 წლის 16 ნოემბერს გამართულ აღკვეთი ღონისძიების შეფარდების სხდომაზე ბრალდებული ნ. ნ. და მისი ადვოკატი დ. ა. მსხვერპლის სექსუალურ ორიენტაციაზე მიუთითებდნენ. ადვოკატის გაკეთებულ კომენტარში გამოყენებულია ტერმინები: „არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ნიშნით“, „არატრადიციული სექსუალური კონტაქტი“, ადვოკატმა მამაკაცთა სექსუალური კავშირი შეაფასა, როგორც „ამორალური და არანორმალური“.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ დ. ა.-ის საჯარო განცხადება არის ჰომოფობიური და პირდაპის მიმართული აწ გარდაცვლილი პიროვნების, მსხვერპლის დისკრედიტაციისკენ, რის გამოც ადვოკატს უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

1.5 2020 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ორგანიზაცია საქმეში ჩართულია და მონიტორინგს უწევს გამოძიების მიმდინარეობას.

2 ადვოკატ დ. ა.-ის პოზიცია:

2.1 ადვოკატი დ. ა. 2020 წლის 30 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით განმარტებაში აღნიშნავს, რომ საჩივარი უსაფუძვლოა და მისი განცხადება ემსახურებოდა კლიენტის ინტერესის დაცვას.

2.2 ადვოკატის პოზიციით, ის წარმოადგენდა ბრალდებულ ნ. ნ.-ის ინტერესებს განზრახ მკვლელობის საქმეში. სიუჟეტში მის მიერ გაჟღერებული იქნა კლიენტის პოზიცია, კლიენტთან შეთანხმებით, რაც დასტურდება საუბრის დასაწყისშივე, მის მიერ ნათქვამი ფრაზით - „ნ. ნ. აცხადებს ასეთ რამეს, რომ ...“.

2.3 ფრაზები: „ორი ადამიანი იყვნენ ერთმანეთის მეგობრები“, „არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ნიშნით“, „მათგან ერთ-ერთმა მის მიმართ გამოიჩინა სექსუალური ლტოლვა და მას სთავაზობდა არატრადიციული სექსუალურ კონტაქტს“ - წარმოადგენდა კლიენტის, ნ. ნ.-ს პოზიციის გაჟღერებას.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ ის ამორალურად მიიჩნევს იძულებას. მან ამორალურად მოიხსენია არა ერთი მამაკაცის კონტაქტი მეორე მამაკაცის მიმართ, არამედ სექსუალური კონტაქტის დამყარების მცდელობის იძულება, ასევე ახსენა, რომ როდესაც ადამიანს არ სურს რაიმე და მას სთავაზობენ იმას, რაც არ სურს, ეს იწვევს გაღიზიანებას.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნული საქმე მისთვის იყო მორალურად მძიმე, თუმცა შეასრულა პროფესიული მოვალეობა.

2.6 2020 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მისი განცხადება მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესის დაცვას. საზოგადოებას აინტერესებდა მკვლელობის მოტივი, რაც გააჟღერა ისე, როგოც კლიენტთან ჰქონდა შეთანხმებული.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი დ. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ა(ა)იპ „თ. მ.-მ“ ეთიკის კომისიას მომართა 2020 წლის 20 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2020 წლის 16 ნოემბერს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ბრალდებულის ადვოკატმა დ. ა.-მა 2020 წლის 16 ნოემბრის სიუჟეტში გააკეთა კომენტარი, სადაც გამოიყენა ტერმინები: „არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ნიშნით“, „არატრადიციული სექსუალური კონტაქტი“; ადვოკატმა მამაკაცთა სექსუალური კავშირი შეაფასა როგორც „ამორალური და არანორმალური“.

5.2 ეთიკის კომისიაში დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა (დებულება, მუხლი 6.1(ა)). საჩივრის ავტორი, ა(ა)იპ „თ. მ.“ წარმოადგენს ორგანიზაციას, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ლგბტქი+ ადამიანების უფლებების დაცვა. ორგანიზაცია მათ აწვდის უფასო იურიდიულ და სოციალურ სერვისებს, უწევს მათ წარმომადგენლობას. განსახილველ საქმეში ორგანიზაცია უშუალოდ არ წარმოადგენს დაზარალებულის, გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლის ინტერესებს, თუმცა მონიტორინგს უწევს საქმის მიმდინარეობას, რათა ლგბტქი+ ადამიანების უფლებები ჯეროვნად იყოს დაცული. აქედან გამომდინარე, კომისიის შეფასებით, ა(ა)იპ „თ. მ.“ უფლებამოსილი განმცხადებელია.

5.3 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ დ. ა.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.3.1 ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს პროცესის მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.გ).

5.3.2 ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ

სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1).

5.3.3 ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.4).

5.3.4 ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 38.4).

5.4 „ადვოკატების განსაკუთრებული სტატუსი, მათ ანიჭებთ ცენტრალურ პოზიციას მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, საქმეებზე *Nikula v. Finland,* N31611/96, 26.06.2002, §45; Amihalachioaie v. Moldova, N60115/00, §27; Kyprianou v. Cyprus N73797/01, 15.12.2005, §173; André and Another v. France, N18603/03, 24.07.2008, §42).

5.5 „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე *R.S and Z v Switzerland*).

5.6 ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის...თავისუფლება (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 19.1). ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24.1). აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

5.7 „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება,

ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.09.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე№11/6/561,568, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

5.8 „ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 03.12.2006 წლის გადაწყვეტილება, საქმე №2317/12/06).

5.9 საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილია 2020 წლის 16 ნოემბრის სიუჟეტი, საიდანაც იკვეთება, რომ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის ადვოკატმა დ. ა.-მა გააჟღერა არა საკუთარი შეფასება და მოსაზრებები მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, არამედ კლიენტის პოზიცია, რასაც ადასტურებს საუბრის დასაწყისში წარმოთქმული ფრაზა: „ნ. ნ. აცხადებს, რომ ...“. საუბარში ადვოკატი აჟღერებს ფრაზებს: „ორი ადამიანი იყვნენ ერთმანეთის მეგობრები“, „არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ნიშნით“, „მათგან ერთ-ერთმა მის მიმართ გამოიჩინა სექსუალური ლტოლვა და მას სთავაზობდა არატრადიციული სექსუალურ კონტაქტს“.

5.10 მომჩივანის პრეტენზიიდან გამომდინარე, რომ ადვოკატმა მამაკაცთა სექსუალური კავშირი შეაფასა, როგორც „ამორალური და არანორმალური“, ადვოკატი განმარტავს, რომ მან არანორმალურად და ამორალურად შეაფასა სექსუალური კავშირის იძულება ნებისმიერ პირს შორის და არა კონკრეტულად მამაკაცთა სექსუალური კავშირი, როგორც ამას მომჩივანი ედავება.

5.11 კომისიის შეფასებით, კლიენტთან შეთანხმებით, ადვოკატი მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას მკვლელობის მოტივთან დაკავშირებით. კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატმა გააჟღერა კლიენტის პოზიცია იმ ფორმით, რაც დაცულია აზრის გამოხატვის თავისუფლებით. ამასთან, ადვოკატი სარგებლობს იმუნიტეტით იმ გამონათქვამების მიმართ, რომელიც მან გააკეთა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

5.12 მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ, რადგან მისი ქმედება არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

5.13 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №098/20 ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა დისციპლინური გადაცდომის არარსებობის გამო.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/